სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/62

ქ. თბილისი

28 თებერვალი 2020

სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის უფროსის, პროფესორ თამარ წერეთლის მოხსენებითი ბარათი მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სახელფასო ნიხრის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 2020 წლის 9 იანვრის №16 დადგენილებით, სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის უფროსის, პროფესორ თამარ წერეთლის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 თებერვლის №01-05-02/11 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საათობრივი ანაზღაურების ნიხრი და ერთი აკადემიური საათის ღირებულება განისაზღვროს 15 ლარით;
2. ზემოაღნიშნული საკითხი გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) დასამტკიცებლად;
3. საკითხის წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ეთხოვოს სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის უფროსს, თ. წერეთელს;

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე : ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**